

ახალი ამბები

გარემოს დაცვა

საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან გარემოს დაცვის საკითხზე შეხვედრა გაიმართება

თბილისი.14.05.08.მედიანიუსი. სასტუმრო „ვერე პალასში“ 16 მაისს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ ორგანიზებით, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან გაიმართება შეხვედრა, სახელწოდებით: „კითხვებზე შენს კანდიდატს“.

შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ გაიგონ, რას ჰპირდებიან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიები და ბლოკები მომავალი თაობებისათვის სუფთა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

შეხვედრაში სავარაუდოდ, მონაწილეობას შემდეგი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები მიიღებენ: საქართველოს ლეიბორისტული პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის, „მემარჯვენე ალიანსი თოფაძე-მრეწველები“, „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, საქართველოს სპორტსმენთა კავშირი და სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული პარტია.

ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართება.

რედაქტორი გიორგი ქიტიაშვილი